

“ქართული გენეალოგიური საზოგადოება”

ქართული წარჩინებული გვარები

სერიის მესამე წიგნი

I. მიქელაძეთა საგვარეულო

II. მხეიძეთა საგვარეულოები

(ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევა)

იური ჩიქოვანი - გენეალოგიური ტაბულებისა და ანოტაციების ავტორი,

იოსებ ბიჭიკაშვილი - ისტორიული ნარკვევების ავტორი

УДК 947.922

ჩ 694

ნაშრომი წარმოდგენს საქართველოს სამეფოს წარჩინებულთა გვარების ისტორიულ-გენეალოგიურ გამოკვლევას. ის ეფუძნება საარქივო, წერილობითი წყაროების ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. წიგნი ერთნაირად საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნიკო ჯავახიშვილი**

© თავად მიქელაძეთა გენეალოგიური ნუსხები №1-69. ი.ჩიქოვანი, 2005.

© თავად მხეიძეთა გენეალოგიური ნუსხები №1-15. ი.ჩიქოვანი, 2005.

© ისტორიული ნარკვევი “მიქელაძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი”, ი.ბიჭიკაშვილი, 2005.

© ისტორიული ნარკვევი “მხეიძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი”, ი.ბიჭიკაშვილი, 2005.

© № 1-2 დანართების - ავტორი და შემდგენელი. ი.ბიჭიკაშვილი, 2005.

ISBN 99928-0-213-8

ყველა უფლებას წიგნზე ინარჩუნებენ ავტორები. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

წიგნის ყდაზე მოყვანილია თავად მიქელაძეების საგვარეულო გერბი.

ავტორები დიდ მადლობას უხდებიან ბატონ ირაკლი მიქელაძეს, რომლის თანადგომამ უზრუნველყო წიგნის გამოცემა.

ქართელი თავადები

ადრეული შუასაუკუნეების ეპოქიდან მოყოლებული საქართველოში არსებობდა ფეოდალური იერარქია, რომელიც იყოფოდა ორ ძირითად ჯგუფად: თავადები და აზნაურები. თავადები წარმოადგენდნენ ფეოდალთა უმაღლეს ჯგუფს. რომელთაც ეკუთვნოდათ საკუთარი სამფლობელო - სათავადო. სათავადოები წარმოიშვა XV ს-ის ბოლოს, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ. გვარის უფროსი, რომელიც ატარებდა თავადის წოდებას, წარმოადგენდა სათავადოს მმართველს და სწორედ მასთან მიდიოდა ამ სამფლობელოს შემოსავლის უდიდესი ნაწილი. მაგრამ, შემოსავლების ნაწილი განკუთვნილი იყო გვარის სხვა წარმომადგენლებისათვის, თავადის უმცროსი ნათესავებისათვის, რომელნიც იწოდებოდნენ თავადიშვილებად. გვარის უფროსი ფლობდა მთავარ საგვარეულო ციხე-სიმაგრეს, ეკლესიასა და საოჯახო საძვალეს, მისი ნათესავები კი განსახლებულ იყვნენ სხვა საგვარეულო სამფლობელოებში. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ძლიერება და გვარის გავლენა, თავადური ოჯახები, ჩვეულებრივ, ცდილობდნენ საგვარეულო სამფლობელოების გაყოფის თავიდან აცილებას. თითოეულ სათავადოს, დასავლეთ ევროპის ფეოდალთა (ჰერცოგების, გრაფების და ბარონების), მსგავსად, ეკუთვნოდა საკუთარი აზნაურთა და გლეხთა გარკვეული რაოდენობა.

ზოგიერთი სასაზღვრო (მონაპირო) ტერიტორიის მმართველები ატარებდნენ ერისთავის წოდებას, მათი ოჯახის წევრები კი იწოდებოდნენ ერისთავისშვილებად. ქართლის სამეფოში ცნობილია არაგვის და ქსნის ხეობების ერისთავები, რომელნიც იცავდნენ ქვეყანაში მთის შემოსასვლელებს მტერთაგან. იმერეთის სამეფოში ერისთავის წოდებას ატარებდა რაჭის მმართველი. თავდაპირველად ერისთავებად იწოდებოდნენ, ასევე, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის და აფხაზეთის მმართველნიც, რომელთაც, უკვე XVI ს-ში, მიაღწიეს სამეფო ხელისუფლებისგან ფაქტიურ დამოუკიდებლობას და გადაიქცნენ მთავრებად, რომლებიც ამ წოდებას და, შესაბამისად, მთელს სამფლობელოებს გადასცემდნენ თავის მემკვიდრეებს და მხოლოდ ფორმალურად (პერიოდულად კი - რეალურად) ითვლებოდნენ იმერეთის მეფეების ვასალებად.

სათავადოები და საერისთავოები ითვლებოდნენ სამემკვიდრეო სამფლობელოებად, თუმც საქართველოს ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც იცვლებოდა მმართველთა დინასტიები, ან როდესაც მეფე უბოძებდა აღნიშნულ სათავადოს სხვა საგვარეულოს და ა.შ.

გამლიერებული სათავადოების მმართველები ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობას, რის გამოც, სამეფო ხელისუფლება, არც თუ იშვიათად, დგამდა ნაბიჯებს საერისთავოების გაუქმებისკენ. ასე მაგალითად, 1743 წელს კახეთის, მოგვიანებით კი, ასევე ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის მიერ გაუქმებულ იქნა არაგვის საერისთავო. მოგვიანებით, მისმა ვაჟმა, მეფე ერეკლე II-მ, ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ, 1773 წელს, გააუქმა ქსნის საერისთავო. იმერეთში, მეფე სოლომონ I-მა 1769 წელს, გააუქმა რაჭის საერისთავო. ერისთავთა

სამფლობელოების ხელში ჩაგდების შემდეგ, მეფეები უბოძებდნენ მათ თავიანთ ოჯახის წევრებს - ბატონიშვილებს. ბაგრატიონთა სამეფო სახლის

წარმომადგენელი ბატონიშვილები, ისევე როგორც და იმავე მიზეზით, რაც სხვა ფეოდალები, უზრუნველყოფილნი იყვნენ სამემკვიდრეო სამფლობელოებით (მამულებით). ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთმა თავადურმა შტომ, მუხრანის მფლობელებმა, მოახერხეს, 1512 წლიდან 1801 წლის ჩათვლით, ხელშეუხებლად შეენარჩუნებინათ თავიანთი სამემკვიდრეო მამული, რომელიც, თავის დროზე, უბოძეს ქართლის მეფის, კონსტანტინე II-ის უმცროს შვილს - ბაგრატს. მუხრანის სამფლობელოს განსაკუთრებული სტატუსი ასახული იქნა ამ სამფლობელოს მმართველთა ტიტულატურაში, რომელნიც იწოდებოდნენ მუხრანბატონებად. მათ შესახებ იოანე ბატონიშვილი წერდა, რომ ისინი არიან “მეორისა ხარისხით ბაგრატიონად წოდებულნი და პირველნი თავადნი”.

ქართულ თავადურ გვართა შორის გვხვდება არაერთი უძველესი ოჯახი, რომელიც ცნობილია საქართველოს ისტორიაში საქართველოს სამეფოს ადრეული პერიოდიდან. ზოგიერთმა გვარმა შეინარჩუნა თავისი ძველი დასახელება, ზოგმა კი მიიღო ახალი სახე. თავადური გვარები, ხშირად, წარმოდგება პატრონიმებისგან, ანდა - მეტსახელებისგან, რომელთაც დაიმკვიდრეს ადგილი ამა-თუ იმ გვარის სახელწოდებაში. მაგ., ბარათაშვილი, ანუ ბარათას შვილი, სააკაძე - სააკის ძე. ზოგიერთი თავადური გვარი ნაწარმოებია ამ გვარის წარმომადგენლის სამეფო, თუ ადმინისტრაციული ჩინისაგან, მაგ., ამილახვარი - ამილახორისგან, დადიანი - დადიანის, ერისთავი - ერისთავის წოდებისგან და ა.შ.

ვახუშტი ბატონიშვილს, თავის ისტორიულ თხზულებაში “აღწერა სამეფოსა საქართველოსი” თავადური გვარებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში “მთავართა გუართათვის”, ჩამოთვლილი აქვს ის თავადური გვარები, რომელნიც შემდგომში გაქრა და აღარ გვხვდება საქართველოს თავადური გვარების ოფიციალურ სიაში. ვახუშტი ბატონიშვილი წერს შემდეგს: “ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთაგანი ესენი არიან; ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუ(ა)ში, რომელი იყო ლიპარიტისძე, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქიძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქუენაფლაველი, ჯავახიშვილი, ბურსელი და სხუანი მრავალნი”.

დროთა განმავლობაში ზოგი გვარი კარგავდა სტატუსს, სხვანი, პირიქით, წინაურდებოდნენ, ღებულობდნენ რა თავადის წოდებას, მაგ., თავადნი ამილახვარნი, რომელნიც წარმოადგენენ აზნაურ ზედგენიძეთა შთამომავლებს, ატარებენ თავადის წოდებას, როგორც ჯილდოს, ერთ-ერთი მათი წინაპრის თავგანწირვისთვის, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა თავდასხმისგან საქართველოს მეფე გიორგი VIII (1446-1466). ტრადიციის მიხედვით, თავადებად ხდებოდნენ მეფეთა და მთავართა სიძეები. მაგ., XVIII ს-ში, იმერეთში, აზნაური ხახუტა ასათიანი გახდა ასათიანთა თავადური შტოს ფუძემდებელი მას შემდეგ, რაც იქორწინა დაქვრივებულ დედოფალ თამარზე (“კოჭიბროლად” წოდებულზე), - მეფე გიორგი VI-ს (1703-1720) მეუღლესა და გიორგი VII-ს (1741) დედაზე.

ზოგიერთმა გვარმა მიიღო თავადობა მეფეების არჩილ II-გან და ვახტანგ VI-ისგან უკვე რუსეთში, განდევნილობაში, აღნიშნული მეფეების ერთგული სამსახურისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თავადურ წოდებაში, საქართველოში, აყვანილნი იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ მრავალი “ჩამოსული” გვარებიც (თუმც, ისე როგორც რუსეთში, აქაც ლეგენდები მათი “ჩამოსვლის” შესახებ ყოველთვის არ არის დოკუმენტურად დასაბუთებული). ასე მაგ., აფხაზეთის მთავართა, შარვაშიძეთა გვარი ითვლება წარმომობილად შირვან-შახისგან (შირვანის მფლობელებისგან), თავადი ადნრონიკაშვილნი – ბიზანტიის იმპერატორებისგან – კომნენტა დინასტიიდან, თავად სააკაძეთა გვარი – შამხალეებისგან და ა.შ.

საქართველოს თავადურ გვართა შორის საკმაოდ მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს სომხური წარმომობის გვარები, მაგ., ბებუთაშვილები (ბებუთოვები), ბეგთაბეგიშვილები (ბეგთაბეგოვები), მელიქიშვილები (მელიქოვები), სუმბათაშვილები (სუმბათოვები) და ა.შ. ზოგი მათგანი, მაგ., მხარგრძელი-არლუთაშვილები, განეკუთვნება ღრმა წარსულს (XII-XIII სს.), ზოგი კი წინაურდება მოგვიანებით (XVII-XVIII ს-ში). მეფე ერეკლე II-ს დროს თავადობა მიენიჭა კიდევ რამდენიმე გავლენიან სომხურ ოჯახს - აბამელიქებს, ამათუნებს, კამსარაკანებს, ხოჯამონასოვებს.

საკმაოდ ადრეული ხანიდან გვარების იერარქია დაცული იყო იურიდიულ დოკუმენტებში (ე. წ. “სასისხლო სიგელებში”), რომლის მიხედვით დგინდებოდა გარკვეული ანაზღაურება კონკრეტული პიროვნების მკვლელობის, დაჭრის, ან შეურაცყოფისათვის. ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული ჩვეულებრივი სამართლის ნორმებმა ჰპოვა ასახვა ქართული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში - ვახტანგ VI-ის კოდექსში. ამ კოდექსის თანახმად, თავადთა ფენა იყოფოდა სამ კატეგორიად: 1) დიდი თავადები (დიდებულები), ანუ პირველი ხარისხის თავადები; 2) მეორე ხარისხის თავადები; 3) მესამე ხარისხის თავადები. ასევე სამ კატეგორიად იყოფოდა აზნაურთა ფენაც, რომელთა შორის გამოიყოფოდა: 1) “გადიდებული აზნაურები”; 2) შუათანა აზნაურები და 3) “ცალმოგვი აზნაურები”. აზნაურთა გვარების შესახებ ცნობები ჯერ-ჯერობით არ არის სრული, მიმდენარეობს მათი კვლევა-ძიება.

ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად თითოეული პიროვნების სისხლი ფასდებოდა ფეოდალურ იერარქიაში მათი ადგილის (მიწების, ყმათა რაოდენობის, გვარის წარჩინებულობის და დაკავებული თანამდებობის) მიხედვით. აქედან გამომდინარე, ყველაზე უფრო წარჩინებული თავადის (“დიდებულის”) სისხლი შეფასებული იყო 1536 თუმნად, მეორე ხარისხის თავადისა - 768 თუმნად, მესამე ხარისხისა - 384 თუმნად. “გადიდებული” (წარჩინებული) აზნაურის სისხლი შეფასებული იყო 192 თუმნად; შუათანა აზნაურისა - 96 თუმნად და “ცალმოგვისა” – 48 თუმნად.

თავადური გვართა ადგილი ამ ფეოდალურ იერარქიაში, ყოველ შემთხვევაში ქართლში, კახეთში და იმერეთში, საკმაოდ მკაფიოდ იყო განსაზღვრული ტრადიციებით.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით სამეფო ოჯახისა და მუხრანბატონების შემდეგ იერარქიულად მოდიან: “ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი; გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი; ერთი თავი

თვითონ ამილახორი, გაუყრელი; გაუყრელი ერთი თავი ორბელიშვილი; როსცა გაუყრელი ყოფილა - ციციშვილი. ამასთან კი არა და სომხითის მელიქიც ითქმის”.

1735 წელს რუსეთში გადასახლებული ყოფილი მუხრანბატონი მამუკა წერდა: „они Мухранские господа не в числе князей, понеже они царей Грузинского рода и всегда они имели отличие от прочих князей” ქართლში კი “первостепенными князьями” მამუკა მუხრანბატონი მოიხსენიებს ხუთ საგვარეულოს: 1) არაგვის ერისთავნი; 2) ქსნის ერისთავნი; 3) ამილახვარნი; 4) ორბელიანნი და 5) ციციშვილნი; კახეთში – თავად ჩოლოყაშვილებს და ანდრონიკაშვილებს, ხოლო იმერეთში იგი ამ კატეგორიას მიაკუთვნებს – 1) სამეგრელოს მთავრებს – დადიანებს და 2) გურიის მთავრებს – გურიელებს.

რუსეთის სამეფო კარზე ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენლები ჩნდებიან XVII ს-ის შუა წლებში. ამ დროისათვის რუსეთის სამეფო სამსახურში იმყოფებიან თავადი დავიდოვები (ბაგრატიონ-დავითიშვილები), კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის შთამომავლები, რომლებიც გადასახლდნენ რუსეთში 1666 წელს.

ქართული კოლონია, რომელსაც რუსეთში საფუძველი ჩაუყარა იმერეთის მეფე არჩილმა და მისმა ოჯახმა 1700 წელს, რიცხოვნად მკვეთრად იზრდება 1724 წელს რუსეთში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის გადასახლების შემდეგ. მის, დაახლოებით 1200 კაციან, ამაღაში წარმოდგენილი იყვნენ არა მხოლოდ ქართლის, არამედ საქართველოს ყველა კუთხის უწარჩინებულესი დიდგვაროვნები, როგორც თავადთა, ისე აზნაურთა წრიდან. ამ თავადთა და აზნაურთა დიდმა ნაწილმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთს, იქცა რა ცნობილი რუსული თავადური და აზნაურული გვარის ფუძემდებლად. რუსეთთან საქართველოს მიერთებამდე ისინი განიხილებოდნენ, როგორც უცხოური წოდების მატარებელნი. ირიცხებოდნენ რა რუსეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში, ისინი და მათი შთამომავლები არც, თუ იშვიათად, ხვდებოდნენ რუსეთის საგვარეულო წიგნის IV ნაწილში (იხ. დამატება წიგნის ბოლოში), რომელიც განკუთვნილი იყო უცხოეთიდან ჩასული გვარებისათვის, თუმცა, ზოგჯერ, ხვდებოდნენ აღნიშნული წიგნის V ნაწილშიც, ტიტულოვან გვართა რიცხვში. მათი მოხსენიება თავადად, ან აზნაურად ვახტანგ VI-ის ამაღლის ოფიციალურ სიაში და სამეფო ოჯახის წევრთა დასტური ითვლებოდა რუსეთის სენატისათვის საკმარის საფუძვლად ამ წოდების აღიარებისათვის. რუსეთის იმპერატორი ანა იოანეს ასულის (1730-1740) ბრძანების თანახმად 1738 წელს ჩამოყალიბებულ იქნა ქართული ჰუსართა როტა (ასეული), რომელიც, შემდგომ გადაიზარდა პოლკში. ნაბრძანები იყო: “грузин, желавших поступить на службу Ее Императорского Величества, приводить к присяге на верность”. ამ მომენტიდან მოყოლებული, მათ შეეძკოთ რუსეთის ტერიტორიის დატოვება მხოლოდ ხელისუფალთა თანხმობით. ჯილდოდ ისინი ღებულობდნენ ხელფას და, ასევე, ნაწყოლოვებ მიწის ნაკვეთს (“ნადელს”) და გლეხებს მალოროსიაში (უკრაინაში). დადგინდა, რომ თავადები მიიღებენ სამემკვიდრეო მფლობელობაში, სამხედრო სამსახურის ვალდებულებით, 30 კომლს, ხოლო აზნაურები - 10 კომლს.

1738 წლის ბრძანების თანახმად, უკრაინაში მიწის ნაკვეთები ებოძათ შემდეგ თავადებს: ანდრონიკაშვილებს, ბარათაშვილებს, გურიელებს, გურამიშვილებს, ჯავახიშვილებს, ჯაფარიძეებს, კაკვასიძეებს,

ქობულაშვილებს, ორბელიანებს, მხეიძეებს, რატიშვილებს, სააკაძეებს, ხერხეულიძეებს, წერეთლებს, ციციშვილებს, შალიკაშვილებს და სხვ.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც ქართველი ემიგრანტები საკმაოდ დიდხანს ცდილობდნენ, რათა აღიარებულნი ყოფილიყვნენ თავადებად, წარადგენდნენ რა თავიანთი წარმომავლობის მტკიცებულებებს. რუსეთში თავადებად არ ცნობდნენ თავადთა უკანონო შვილებს, თუმცა ისინი, ვახტანგ VI-ის ამაღაში, ზოგიერთ ნუსხაში, მოიხსენიებოდნენ, როგორც თავადები. საქართველოში, თავადის უკანონო შვილს არ ქონდა თავადის წოდებით სარგებლობის უფლება, ხოლო ბატონიშვილის უკანონო შვილს ენიჭებოდა თავადის წოდება. აღიარებდა რა ბატონიშვილების და თავადების უკანონო შვილებს, შესაბამისად, თავადებად და აზნაურებად, რუსეთის ხელისუფალნი ხელმძღვანელობდნენ იმ რეალური სტატუსით, რომელიც ამ პირებს გააჩნდათ რუსეთში ჩამოსვლამდე, სადაც ქართული კანონების მოქმედება უკვე წყდებოდა.

ქართლში და კახეთში თავადთა და აზნაურთა ოფიციალური ნუსხა შედგენილი იქნა მეფე ერეკლე II-ს ბრძანების თანახმად და იგი წარმოადგენდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ოფიციალურ დანართს. ამ ნუსხაში მოხსენიებულია 62 თავადური და 317 აზნაურული გვარი, რომელთაც, აღნიშნული ტრაქტატის საფუძველზე, მინიჭებული ქონდათ რუსეთის თავად-აზნაურულ გვარებთან გათანაბრებული უფკებები.

რუსეთთან საქართველოს მიწების მიერთების (ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის) შემდეგ, თავად-აზნაურობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილებოდა საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოში, იქიდან კი იგზავნებოდა დასამტკიცებლად სანქტ-პეტერბურგში – ჰეროლდიის დეპარტამენტში.

1818 წელს დაასდა ქართული (შემდგომში თბილისის) თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო. უკვე რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მეფობის დროს, თავადებად დაამტკიცეს საქართველოს მრავალი გვარის წარმომადგენლები. მოგვიანებით, რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის ბრძანების თანახმად, 1846 წლის 30 მარტს, შეიქმნა ორი დროებითი კომისია, თბილისში და ქუთაისში, “для приведения в известность” იმ პირთა წოდების საბოლოო აღიარებისათვის, რომელნიც განეკუთვნებოდნენ საქართველოს თავადურ და აზნაურულ ფენას. 1850 წლის 6 დეკემბერს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებულ და, შემდგომ, დაბეჭდილ იქნა ქართლის, კახეთის, იმერეთის და გურიის თავადური და აზნაურული გვარების საოჯახო საგვარეულო ნუსხა (“Именные, посемейные списки княжеских и дворянских родов Грузии, Имеретии и Гурии”).

სამეგრელოში რუსეთის მთავრობამ დაიწყო თავადური და აზნაურული გვარების აღრიცხვა მას შემდეგ, რაც იქ გააუქმა სამთავროს ავტონომია. კავკასიის კომიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულ იქნა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ 1865 წლის 29 ივნისს, ამ მიზნით, გამოიყო სპეციალური კომისია. ამ კომისიის მიერ, 1866-1867 წლებში შედგენილ იქნა სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საგვარეულო საოჯახო ნუსხა. 1868 წელს დაარსდა ახალი კომისია და მის მიერ შედგენილი თავად-აზნაურთა საგვარეულო ნუსხა გამოქვეყნებულ იქნა 1890 წელს. მასში მოიხსენიება შემდეგი თავადური გვარები: დადიანი, ანჩაბაძე, აფაქიძე,

ასათიანი, ახვლედიანი, გარდაფხამე, გელოვანი, დადემქელიანი, დგებუაძე, ჯაიანი, ქოჩაქიძე, მიქაძე, მხეიძე, ფალავა, ჩიქოვანი, ჩიჩუა და შელია.

1870-იან წლებში აფხაზეთში თავადების (ათუადი) და აზნაურების (ამსტა), ხოლო სამურზაყანოში თავადების და აზნაურების (ქნოსკუ) სიების შესადგენად ასევე იქნა დაარსებული სპეციალური კომისიები. აქაურ თავად-აზნაურთა ნუსხა შედგენილი იქნა 1880 წელს. აღნიშნულ ნუსხაში მოხსენიებულია შემდეგი თავადური გვარები: შერვაშიძე (აფხ. ჩაჩბა), ანჩაბაძე (აფხ. აჩბა), ძიაფშ-იფა (ქართ. ზეფიშვილი), ინალ-იფა (ქართ. ინალიშვილი), მარშანია, ჩაბალურხვა (ქართ. სოტიშვილი), ჩქოტუები და ემუხვარები. სამი აფხაზური თავადური საგვარეულო: არედბა, გეჩბა და ცანბა, კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, 1864 წელს გადასახლდა თურქეთში.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ თავადურ გვარების მრავალმა შთამომავალმა ჰპოვა ფართო აღიარება, როგორც მწერლებმა, მეცნიერებმა, კულტურის, სამხედრო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც.

იოსებ ბიჭიკაშვილი

მიქელაძეთა საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი

“კაცნი და ქალნი შვენიერნი, მბრძოლნი და
იმერეთის უმეტეს სხვათაგან შემართებულად
დიდებულნი”
(ქართლის ცხოვრება)

თავადი მიქელაძეები საქართველოს წარჩინებულ საგვარეულოთა რიცხვს მიეკუთვნებიან. იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში “შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა” - მათი წარმოშობის შესახებ წერს შემდეგს: “321. მიქელაძე. ვაკის თავადი 1690 წ. მიქელ მთავარი იყო მოსახლე ვანისა და აზრუმის საშუალ ადგილსა ტარონსა შინა. ესე მიქელ მსახურობდა ალექსი კეისარსა, რომელსა მისცა დაი თვისი ცოლად და ამათგან იშვნენ ორნი ძენი: გრიგოლ და იოანე, რომელნიც იწოდებოდნენ პროსსებესტოდ 1085 წ. მერედ შემდგომ თურქთაგან დაპყრობისა ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემან მიქელაძეებად თავადებად, მათნი მდაბალნი სახლის კაცნი მიქელაშვილებად; აზნაურად. პირველნი ცხოვრობენ იმერეთს, მეორენი ქართლსა”.¹

ქართულ ისტორიულ წყაროებში თავად მიქელაძეების შესახებ ცნობები XIV საუკუნიდან გვხვდება. პირველად მიქელაძეთა გვარის შესახებ ცნობები გვხვდება ლიხთ-იქითის (იმერეთის) მეფის მიქელის 1326 წლის სიგელში,² სადაც მოიხსენიება მანგასარ მიქელაძე. მისი მოღვაწეობა 1326 წლის წინა პერიოდზე მოდის. 1326 წელს მანგასარი ცოცხალი აღარ არის. იგი ჭარელიძეს “შეაკვდა” სადღაც “ომში”.



მეფე დავით VI ნარინი

მანგასარის შემდეგ, მიქელაძეთა გვარის შესახებ ქართულ წყაროებში დიდხანს არაფერი ჩანს. მხოლოდ 1412-1444 წწ. იხსენიება მანგასარის თანამოგვარე ლომისი მიქელაძე. ლომისი მიქელაძე იხსენიება საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1444) “კარის ვაზირთა” შორის.³

მოგვიანებით, 1488 წელს ლიხთ-იქითის (იმერეთის) მეფის ალექსანდრე II (1484-1510) დარბაისელთა შორის გვხვდება ლომისი მიქელაძის სახლიკაცი ყელგრძელი.⁴ მაგრამ მათ შორის სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო არ ჩანს.

მე-XV საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ იწყება სათავადოების წარმოქმნა. ამ დროისათვის არის სავარაუდებელი მიქელაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება.

გვიანდელი ცნობების მიხედვით, თავად მიქელაძეთა საგვარეულოს იმერეთის სამეფოში ეკუთვნოდა შემდეგი სოფლები: კულაში, ჭყუმური, მიწაბოგირა, კვირიკე, ნინუაკუთხე, ჭაგანა, ჩხენიში, ნაბაკევი, ხუნჯულური, ილორი, სანავარდო (ნაწილობრივ), ნაფალური და ნაჩხეტაური. მათვე ეკუთვნოდა იმ ადგილის უდიდესი ნაწილიც, სადაც შემდეგ ქალაქი სამტრედია გაშენდა.⁵



იმერეთის მეფე გიორგი II

აღმოსავლეთით მიქელაძეების სათავადოს გუბისწყალი საზღვრავდა, დასავლეთით - ცხენისწყალი, სამხრეთით - საჩიჯავამო, სოფელი გომი და ჩრდილოეთით - ქვიტირი.⁶

თავად მიქელაძეთა რეზიდენცია სოფელ კულაშში იყო. იმ ადგილას, რომელსაც ჯვარცმის მინდორს უწოდებენ, მდებარეობდა მიქელაძეების სასახლე,

ეკლესია (ჯვარცმის სახელზე აშენებული) და ციხე-სიმაგრე. ჯვარცმის ეკლესია იყო თავად მიქელაძეთა საძვალე.⁷

თავად მიქელაძეთა აზნაურებად ითვლებოდნენ: ქაჯაიები, კახიანები, და მიქელაძეები,⁸ ხოლო ყმა გლეხები იყვნენ: შენგელიები, ნუცუბიძეები, გეგენიშვილები, რუსიები, ახობაძეები, ჯანგველაძეები, ბუაძეები, ქობულიები, ნიკურაძეები, სტურუები, პაპავეები, კვანტალიანები და სხვა.⁹

XV ს. ბოლოდან XVII წ. 30-იან წლებამდე მიქელაძეები ქართულ ისტორიულ საბუთებში მხოლოდ ორჯერ იხსენიებიან და ისიც სახელის გარეშე. ეს საბუთებია: I. იმერთა მეფის გიორგი II-ის წყალობის წიგნი მიცემული 1563/4 წელს კლდიაშვილებისათვის: “აწ მოიხსენეთ, ერისთავ-ერისთავო, ბატონო ქუთათელი, ბატონო სახლით-უხუცესო და ბატონო აბაშიძე, და ბატონო მხეიძე, და ბატონო მიქელაძე და ჭილაძე, ბატონო ჩიჯავაძე - იმერელთ დარბაისელო”¹⁰ და II. - 1600 წ. ახლო ხნის ხონის საყდრის დავთარში: ‘ჭანგას ბრელაძე... მიქელაძემ ამოაგდო და პარტახტი მას აქუს, გლეხი დაასახლაო’.¹¹

თავად მიქელაძეების როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად თვალსაჩინო ხდება XVII ს. 30-იან წლებიდან.

XVII წ. 30-იან წლებში იმერთა მეფის გიორგი III-სა და სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანს შორის ატყდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში გაბატონებისათვის. ამ ბრძოლაში მიქელაძეები მხარს ლევან დადიანს უჭერდნენ. ასევე დადიანს ეხმარებოდა ქართლის მეფე როსტომი და ირანის შაჰი სეფი II. ასეთი მომხრეებით ზურგამაგრებული ლევან დადიანი “ნამეტნავად გაძლიერებულიყო და იმერეთი დაეჩაგრა”.¹² ირანთან კავშირი რომ უფრო მეტად განემტკიცებინა, დადიანმა სიმონ გურიელის ცოლყოფილი, თავისი და მარიამი ქართლის მეფეს, როსტომს მიათხოვა. 1634 წელს, როცა ფერსათთან მდგომ მეფე როსტომთან ლევან დადიანს სამეგრელოდან საცოლე მიჰყავდა, “აქუნდა შიში გზასა ზედა” იმერთა მეფისა.¹³ მაგრამ იმერთა მეფის ვასალებმა, მიქელაძეებმა ლევან დადიანი და მისი მაცრები თავიანთ სამფლობელოზე გაატარეს. “სამიქელაოს” გზით გავიდნენ ისინი რიონს და მივიდნენ კაკას ხიდთან (მდინარე ხანისწყალზე, ბაღდადის ქვემოთ, სოფელ ხანთან). აქ დახვდა მათ ქართლის მეფე როსტომი, რომელსაც ლევან დადიანმა “დიდებით” ჩააბარა სადედოფლო.¹⁴ ლევან დადიანის ამაღლაში მიქელაძეებიც იმყოფებოდნენ. იმერთა მეფეს გიორგის უნდოდა დადიანის ხელში ჩაგდება. მან ლაშქარს სწრაფად თავი მოუყარა, “მცირეთა კაცითა” მეფე თვითონ წავიდა დადიანის სპათა დასაზვერად. მაგრამ “უმუხანათეს” მისმა “ყმებმა”, აცნობეს ეს ლევან დადიანს და მეფე გიორგი მას ტყვედ ჩაუვარდა.¹⁵ ყოველივე ეს, უეჭველია, თავად მიქელაძის მონაწილეობით ხდება. იმერთა მეფის, გიორგი III-ის დატყვევების შემდეგ ლევან დადიანი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს იმერეთში და სამეგრელოს მთავრის საყრდენად ხდება. “მეფე გიორგი ორ წელიწადს დადიანს ჰყავდა, სახსრად მისცეს მურასა გვირგვინი, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. მარგალიტით მურასა იარაღი და ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლეს სომხები, რომ დადიანმა რუხის ქალაქი იმაებით ააშენა”.¹⁶

მიქელაძეთა სათავადოს დადიანის მფლობელობაში გადასვლით აიხსნება, რომ ისინი ერთ ხანს იმერეთის მეფის კარზე არ ჩანან. იმერთა მეფის ალექსანდრე

III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში, სადაც იმერეთის ყველა თავადური გვარის წარმომადგენლებს ვხედავთ, თავადი მიქელაძეები არ იხსენიებიან.¹⁷

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657 წ.) სამეგრელოს სამთავროს საქმე აირია. ამით ისარგებლა იმერთა მეფემ, ალექსანდრე III-მ. მან დალაშქრა სამეგრელო და დაიბრუნა საჭილაო-სამიქელაო. მაგრამ მიქელაძეები მაინც დადიანის ერთგულნი დარჩნენ.

XVII ს. შუა წლებში მიქელაძეთა სათავადოს თავკაცად ჩანს ოტია მიქელაძე. 1658 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ისა და სამეგრელოს მთავარ ლიპარიტ III დადიანს შორის მომხდარ ბანძის ბრძოლაში ოტია მიქელაძე თავის სახლიკაცებით ლიპარიტის მხარეზე იბრძვის. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერდა: “ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალციხეს და ევედრა ათაბაგს როსტომ ფაშას და მეფესა ქართლისასა როსტომს. მათ მისცეს სპანი, მოვიდა სპითა გურიას, მოჰყვა ქაიხოსრო გურიელიცა სპითა თვისთა, რამეთუ ყმა ლიპარიტისა იყო და ჭილაძე-მიქელაძენიცა მათთანავე და გამოვიდნენ რიონს. ამისმან მცნობელმან ალექსანდრე მეფემან



იმერეთის მაფის სოლომონ I – ის დროშა

შემოიკრიბნა სპანი იმერთა და განვიდა ცხენის-წყალს. მას ღამესა მოუმცნო ალექსანდრე მეფესა ოტია მიქელაძემ: “მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან, და მეც ვაცადუნო შუბის წუერი ჩემი სათუალესა ზარადისა შენისასა. ესენი აუწყა მეფემან და დილასა რაზმთა წყობისა შინა მოუწოდა მეფემან ლევან აბაშიძეს, სიძესა ოტია მიქელაძისასა, შესუა ცხენსა თვისსა ზედა და შთააცვა კურტაკიცა თვისი, რამეთუ უცნობელ იყო წინთქმულთა და ლევან განიხარა ნიჭისათვის მეფისა, რამეთუ იყო შემმართებელი და ერთგული მეფისა და იქმნა ბრძოლაცა ბანძას სასტიკი... და მოისროდნენ ორკერძოვე. მაშინ ოტიამ, მეძიებელმან მეფისამან, ჰპოვა იგი და ჰსცა შუბი ზარადის სათუალესა შინა ლევანს და განვლი კეფასა და შესძახა: “მე ვარ ოტია”. ეჰა უცხო, რამეთუ არა გარდაიჭრა ლევან, არამედ მიუგო ოტიას: “რას ეტყვ ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია”. მაშინ იძლივნენ იგინი ბანძას და ლტოლვილთა მოსრვიდნენ ალექსანდრესანი. არამედ არღა რა ივლტოდა ოტია და დარჩა მეფისა ნებით ათვისითა გარნა მასვე ჟამსა მუნვე დასწუნა თუალნი ზუმბითა. ხოლო შეიპყრეს ქართველნი, მესხნი, გურიელნი და ოდიშარნი და ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი წარვიდნენ ლტოლვილნი სტამბოლს”.¹⁸ ბანძის ომი მეფე ალექსანდრეს გამარჯვებით დამთავრდა. ტყვედ ჩავარდნილ ოტია მიქელაძეს მეფის ბრძანებით თვალეები დაუწვეს “ზუმბულით”. მაგრამ, როგორც ჩანს, ალექსანდრე III-მ დასჯილი თავადი ოტია მიქელაძე შეირიგა. 1658-1660 წლებს შუა იმერთა მეფის

დაწერილ ერთ წყალობის წიგნში ოტია მიქელაძე მის მოწმეთა შორის არის დასახელებული. ამის შემდეგ, ქართულ წყაროებში ოტიას ხსენება წყდება. როგორც ჩანს ის მალე გარდაიცვალა.

XVII წ. მეორე ნახევარში მიქელაძეთა სათავადოს მეთაურად ჩანს გიორგი ოტიას ძე მიქელაძე. მისი თანამედროვეები არიან მისი სახლიკაცები, პაატა და შაქარ მიქელაძეები.¹⁹ გიორგი მიქელაძე ისტორიულ საბუთებში ჩანს 1668-1707 წწ. შორის. გიორგი მიქელაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როკითის ბრძოლაში იმერთა მეფის ალექსანდრე IV-ის მხარეზე.

გიორგი მიქელაძის გავლენის ზრდას ხელს უწყობდა ის ფართო ნათესაური კავშირები, რომელიც მას ჰქონდა იმერეთისა და ქართლის მეფეთა ვადებთან. მისი ასული ხორეშანი ქართლის მეფე გიორგი XI-ის თანამეცხედრე იყო.²⁰ თავად მიქელაძის და სევდია სამეგრელოს ფაქტიური მმართველის გიორგი ლიპარტიანის მეუღლე იყო.²¹ მისი მეორე და, რომლის სახელი უცნობია, იყო არგვეთელი თავადის, პაატა აბაშიძის ცოლი და გიორგი (მალაქია) აბაშიძის დედა. თვითონ გიორგი მიქელაძეს ცოლად ჰყავდა რაჭის ერისთავის შოშიტა II-ის და.

გიორგი მიქელაძე, ერთხანს (1687-1691 წწ.), ქართლის მეფის, გიორგი XI-ის ნათესაობის გამო, მხარს უჭერდა მისი ძმის არჩილის მეფობას. მაგრამ მალე მან პოზიცია შეიცვალა და გადავიდა იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის, გიორგი VI-ის მხარეზე. ამ გზით ის ცდილობდა იმერეთის თავადებზე პირველობის მოპოვებას. გიორგი მიქელაძე, როგორც იმერეთის მეფის გიორგი VI-ის მომხრე, დაუპირისპირდა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ თავის დისშვილს, გიორგი აბაშიძეს და სიმეს - გიორგი ლიპარტიელიანს. განდიდებული თავადები მეფე გიორგი VI-ის ხელისუფლებას არ სცნობდნენ. ასეთ ვითარებაში, გიორგი VI-მ, გიორგი მიქელაძის რჩევით, შეერთო მისი შვილიშვილი, ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასული - როდამი.²² გიორგი მიქელაძეს იმედი ჰქონდა, რომ ქართლის მეფის დახმარებით, გიორგი VI ხელისუფლებას განამტკიცებდა და თვითონაც პირველი თავადი გახდებოდა. მაგრამ გიორგი VI-ის ხელისუფლება მაინც შევიწროვებული იყო. ამასობაში, გიორგი ლიპარტიელიანმა და გიორგი აბაშიძემ “გამოაძეს” მეფის ერთგული გიორგი მიქელაძე მისი “მამულისაგან” და “დაიპყრო საჭილაო-სამიქელაო ლიპარტიანმან”.²³ გიორგი მიქელაძე იძულებული იყო ქართლში გადახვეწილიყო. ეს მოხდა 1703-1707 წლებს შუა. ამის შემდეგ მასზე ცნობები წყდება.

იმერთა მეფის, ალექსანდრე V-ის მეფობის დროს (1720-1752 წწ.), მიქელაძეთა გვარის წევრებიდან ისტორიულ საბუთებში იხსენიებიან: გიორგი, მამუკა და რევაზ მიქელაძეები.²⁴

სოლომონ I-ის ზეობის დროს (1752-1784 წწ.) მიქელაძეთა გვარის წევრებიდან ისტორიულ საბუთებში ვხედავთ: ბაქარ, ვახტანგ და ზურაბ მიქელაძეებს.²⁵

სოლომონ I-ის დროს ასევე ცნობილი იყვნენ: დავით, როსტომ, შაქარ და სიმონ მიქელაძეები. სიმონ მიქელაძემ 1778 წ. მონაწილეობა მიიღო სოლომონ I-ის წინააღმდეგ, თავადთა შეთქმულებაში რომლის თავკაცები იყვნენ: სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზა მესხი.²⁶

სოლომონ II-ის (1789-1810) მეფობის დროს თავადი მიქელაძეები ტახტის ერთგულნი არიან. მათ მხარე დაუჭირეს სოლომონ მეორეს ტახტის მეტოქე -

დავით გიორგის ძესთან ბრძოლაში. ვასალური სამსახურისთვის მეფე სოლომონ II-მ “ერთობით მიქელაძეებს” 1804 წელს მიწა-ტყე უბოძა ჭყვიშურში.²⁷ ასევე, სოლომონ II-მ 1798 წელს შაქარ მიქელაძის ვაჟს, დავითს “ორ წყალ შუა” მამული უბოძა.²⁸

ვახტანგ მიქელაძე, სოლომონ II-ის ბოლო წლების მეფობის დროს, იმერეთის სამეფოს სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო.²⁹

თავადი მიქელაძეები სოლომონ II-ის ერთგულნი დარჩნენ იმერეთის სამეფოს არსებობის ბოლომდე. ამიტომაც, რომ სოლომონ II-ის ამაღლაში სხვა თავადებთან შედარებით მიქელაძეთა საგვარეულოს წევრები არიან მეტად წარმოდგენილნი. 1810 წელს სოლომონ II-ის ამაღლაში შედიოდნენ: ბერი, ზურაბ, მერაბ, სიკო, როსაპ, გოგია, არჩილ, ივანე, ვახტანგ, ლევან, გიორგი, თეიმურაზ და ქაქუჩა მიქელაძეები.³⁰

იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, მიქელაძეთა სათავადომ ადმინისტრაციულად არსებობა შეწყვიტა.

თავადმა მიქელაძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის წინააღმდეგ მომხდარ, იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებაში. ქაიხოსრო, ზურაბ და ქუთუმ მიქელაძეები ქვემი იმერეთის - ვაკის ოლქის - მთავარ მეთაურობებდა არიან დასახელებული.³¹ მათი თანამოგვარე მდივან-ბეგი დავით მიქელაძე ამ აჯანყებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გადაასახლეს, საიდანაც ის მხოლოდ 1824 წელს დაბრუნდა.³²

ძირბველი ისტორიული გვარის ტრადიციას თანმიმდევრულად მიჰყვება ახალი თაობა, რომელიც თავის ადგილს იმკვიდრებს დამოუკიდებელი სამშობლოს აღმშენებლობის მამულიშვილურ საქმეში. ღირსეულ წინაპართა ისტორიამ და ნაღვაწმა მისცეს მათ ძალა და იმედი ცხოვრების უკუღმართ ლაბირინთებში გზის გაკვლევისას.

დაე, სამარადჟამოდ გაგრძელდეს საგვარეულოში ტრადიციად დამკვიდრებული მისალმება: “იხაროს ჩვენმა გვარმა” და მათთვის დამახასიათებელი ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, სიყვარული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბ., 1997, გვ.123.

2. საქართველოს სიძველენი, II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1909, გვ.33-34, საბ. №26.

3. საქართველოს სიძველენი, II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1909, გვ.37, საბ. №28.

4. ს.კაკაბაძე. სასიხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II, თბ., 1924, გვ.25.

5. მ.ნიკოლეიშვილი. სამტრედიის ისტორიიდან (1870-1921). ქუთაისი, 1957, გვ.42.
6. ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I, თბ., 1973, გვ.55.
7. ო.სოსელია ნარკვევები..., დასხ. ნაშრ. გვ.55.
8. ქუთაისის მუზეუმის საბუთი №828, №1492, №2090; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. თბ., 1958, გვ.179.
9. ქუთაისის მუზეუმის საბუთი №791, №2049, №2051, №2075, №2078.
10. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ.ბურჯანაძემ. თბ., 1958, გვ.18.
11. ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა. გამოსცა ს. კაკაბაძემ. თბ., 1913, გვ.16.
12. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. გამოცემა ს.კაკაბაძისა. საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ.259.
13. ვახუშტი. «საქართველოს ისტორია». თბ., 1913, გვ.198.
14. თ.ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტ. II, თბ., 1897, გვ.463.
15. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. დასხ. ნაშრ. გვ.241.
16. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. დასხ. ნაშრ. გვ.33.
17. სტოლნიკ ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში. თბ., 1978, გვ.193-195.
18. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. «ქართლის ცხოვრება», ტ.IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ.833-834.
19. საქართველოს სიძველენი, I, საბ. №16, გვ.44.
20. თ.ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტ.II, თბ., 1897, გვ.506; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა..., გვ.859.
21. თ.ჟორდანიას. ქრონიკები..., გვ.504.
22. ვახუშტი. «საქართველოს ისტორია». თბ., 1913, გვ.220-221.
23. ვახუშტი. «საქართველოს ისტორია». თბ., 1913, გვ.221.
24. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I, თბ., 1921, გვ.142.
25. ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II, თბ., 1921, გვ.6.
26. შ.ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ.132.
27. ქუთაისის მუზეუმის საბუთი №1492.
28. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II, თბ., გვ.114; თ.ჟორდანიას. ქრონიკები..., ტ.II, დას. ნაშრ. გვ.448.
29. ს.კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). თბ., 1956, გვ.417.
30. ს.კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს..., დასხ. ნაშრ. გვ.488-489.
31. Н.Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819-1820 гг. Материалы по истории Грузии и Кавказа. вып.III. Тб., 1942, стр. 139,146.
32. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ აღწერილ (A-კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ.390.

თავად მიქელაძეთა გენეალოგიური ტაბულექის შენიშვნისათვის

თავად-აზნაურთა საყოველთაო აღწერის მომენტისათვის, რომელიც ჩატარებულ იქნა 1846 წელს იმერეთში, სოფელ კულაშში (და, ნაწილობრივ, გეზათსა და ჩხენიშში), ცხოვრობდა თავად მიქელაძეთა 60 ოჯახი, რომელნიც იმყოფებოდნენ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში.

აღნიშნული საგვარეულოს ასეთი მრავალრიცხოვნობის, პრაქტიკულად ერთ გეოგრაფიულ პუნქტში, მათი თავმოყრისა და, ასევე, უმეტეს შემთხვევაში, მათი ნათესაობის ხარისხის ზუსტი მონაცემების არქონის გამო, შეუძლებელია მიქელაძეთა ზოგადი საგვარეულო ნუსხის შექმნა.


აქედან გამომდინარე, ავტორის მიერ გამოყენებულ იქნა გენეალოგიური მასალის მიწოდების ე.წ. «ოჯახური» პრინციპი, რასაც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ აღწერაში მოხსენიებული თავად მიქელაძეთა სიები.

თითოეულ ცალკეულ ოჯახს (ან მონათესავე ოჯახთა ჯგუფს) წამმღვარებული აქვს რიგითი ნომერი. ფრჩხილებში მოცემული ნომრები ზუსტ შესაბამისობაში იმყოფება აღწერაში გამოყენებულ ნუმერაციასთან.

იური ჩიქოვანი

თავადთა ოჯახები

თავადთა ოჯახები



პირობითი ნიშნები

o 1754-1782 - ჩანს ისტორიულ საბუთებში ამ წლებში

~ - ქორწინების ნიშანი

N. - სახელი ან გვარი უცნობია

2/1. ივანე სავლეს ძე (1807-29.01.1855), პორუჩიკი ~ ალათი N. (1825-?).

3/1. გიორგი (ეგორ) სავლეს ძე (1812-1852), მაიორი ~ 3.01.1842 ბარბარე, თავად ოტია დადიანის ასული (1826-1860), (ს.ჯოღოვეი). (II. თავადი ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე).


6/3. ალექსანდრე გიორგის ძე (1847-12.03.1920) ~ 4.10.1864 ელისაბედ (ელპიდე), აზნაურ სამსონ ლორთ-ქიფანიძის ასული (?-1899). (დიდი ჯიხაიში).

9/6. პელაგია ალექსანდრეს ასული (8.10.1866-?) ~ ექიმი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ორლოვსკი. მათი შვილიშვილი იყო ცირკის ცნობილი მსახიობი, თავადი ალექსანდრე (შურა) ალექსანდრეს ძე დადემქელიანი (1914-1977).

10/6. ეკატერინე ალექსანდრეს ასული ~ ქრისტეფორე გიორგის ძე ხაჩატუროვი.

თავადი შაქარ მიქელაძე¹

I თაობა



1. შაქარ მიქელაძე (1775) ~ თამარ, რაჭის ერისთავის შოშიტა III-ის ასული.

3/1. ლევან შაქარის ძე ~ ხვარამზე, თავად ბერი წულუკიძის ასული.

6/1. ელენე შაქარის ასული (1812) ~ აზნაური იოანე ზაალის ძე აბაშიძე (1812-1822), მდივანბეგი (ს.ტელეფა).

7/3. გიორგი ლევანის ძე (1784-1.03.1858), მაიორი, დაქორწინებული იყო სამჯერ. პირველ ცოლთან (სახელი უცნობია) ეყოლა ქალ-ვაჟი: გრიგოლი (გლახუა) და თეოდორა. გიორგის მეორე ცოლი იყო: სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ასული, ელენე (1795-?). ეს ქორწინება გაუქმებულად ჩაითვალა, ვინაიდან ცოლ-ქმარი ნათესავნი აღმოჩნდნენ. შემდგომში ელენე მისთხოვდა გურიის მთავრის ძმას, დავით გურიელს. გიორგი კი დაქორწინდა კესარია ლევან გურიელის ასულზე (1796-?), რომელთანაც ეყოლა უმცროსი ვაჟი ბეგლარი.

8/3. მარიამ (მაია) (1798-21.05.1880) ~ 1813 თავადი იოსებ (ტატუ) პაპუნას ძე ლორთქიფანიძე (1789-?), (ს.დიხაშხო).

9/7. გრიგოლ (გლახუა) გიორგის ძე (1807-4.02.1858) ~ მარიამი (მაკა), თავად სიმონ გუგუნავას ასული (1813-?), (ს.ძიმითი).



მელიტონ მარადის ძე მიქელაძე ნ. 4(59)/№31

10/7. თეოდორა გიორგის ასული (1809-?) ~ აზნაური დავით მერაბის ძე ლორთქიფანიძე, (ს.დიდი ჯიხაიში).

11/7. ბეგლარ გიორგის ძე (1826-7.03.1863), პრაპორშჩიკი ~ გიორგის ასული N. (1826-24.01.1864).

13/9. მიხეილ (მიქელ) გრიგოლის (გლახუას) ძე (1843-1.12.1875) ~ ეკატერინე, თავად გრიგოლ (გიგო) ფაღავას ასული (1853-1916), (ს.ბანძა).



მარატი (მუდლუ) მარადის ძე მიქელაძე ნ. 4(59)/33

16/9. მელიტონ (მეტია) გრიგოლის (გლახუას) ძე (15.09.1847-?) ~ I. (12.11.1868) მატრონა, თავად ალექსანდრე მიქაძის ასული (1844-1897), (ს.სამიქაო); ~ II. ელისაბედ მარტინეს ასული მილიონი (პეტერბურგი). პირველ ცოლთან მელიტონს ეყოლა ექვსი შვილი, ხოლო მეორესთან - უმცროსი შვილი - ვალერიანი, რომელიც დაიბადა პეტერბურგში.



დავარ მელიტონის ასული მიქელაძე მეუღლესთან და შვილთან ერთად ნ.4(59)/№36

18/9. ელისაბედ (დავარ) გრიგოლის (გლახუას) ასული (1851-?) ~ 1884 ალექსანდრე ალექსანდრეს ძე აჯარსკი (1834-1892), მოინათლა 1883 წ., გენერალ-მაიორი.

19/9. თეოდოსია (მარტა) გრიგოლის (გლახუას) ასული (14.05.1854-1920) ~ 12.11.1870 თავადი ნიკოლოზ ბეჟანის ძე ჩხეიძე (1849-?), (ს.დიდი ჯიხაიში).



მანანა მარატის ასული მიქელაძე შვილებთან ერთად ნ.4(59) / №38

20/13. ვლადიმერ (ნიკოლოზ, ზონდო) მიხეილის ძე (9.01.1873 -1934) ~ ელენე, აზნაურ მიხეილ ოქრომჭედლიშვილის ასული.

21/13. ალექსანდრა (მატუა) მიხეილის ასული (1875-11.01.1911) ~ 13.11.1890 თავადი გიორგი (კონსტანტინე) ალექსანდრეს ძე ჩხეიძე (1872-1921), (ს.დიდი ჯიხაიში).

22/13. ნინო (ეფროსინე, ლაისო) მიხეილის ასული (23.07.1876-11.04.1905) ~ 1897თავადი ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე დადიანი (1879-1939).

27/16. მარდარ (ბუკულა) მელიტონის ძე (24.08.1880-22.01.1959), პრაპორშჩიკი ~ ლუბა, თავად მერაბ მიქელაძის ასული (1881-1958).

28/16. ნიკოლოზ (ტიტუა) მელიტონის ძე (10.05.1888-1942), პრაპორშჩიკი, მასწავლებელი ~ ელენე ხერხეულიძე (?-1948).

30/20. მალვინა ვლადიმერის (ბონდოს) ასული (20.07. 1907-1957) ~ თავადი ნიკოლოზ (კოკი) დავითის ძე დადიანი (1908-1969).

31/27 მელიტონ (მეტიკო) მარდარის ძე (20.12.1905-1979) ~ I. მერი, თავად ილია წულუკიძის ასული (1909-1997); ~ II. ნინო კონსტანტინეს ასული დანელია.

32/27. ნინო მარდარის ასული (1907-1963) ~ გრიგოლ კაკაბაძე (1906-1967).

33/27 მარატ მარდარის ძე (1909-1993) ~ ვალენტინა ივანეს ასული ბლიაძე (1914-1997).

34/31 დავარ მელიტონის ასული (დ.1937) ~ ჯემალ გიორგის ძე ხაჩიძე (დ.1942).

35/31. გიული მელიტონის ასული (დ.1948) ~ რევაზ დამიანეს ძე მგელაძე.


36/33. მანანა მარატის ასული (დ.1951) ~ ზურაბ გიორგის ძე მერკვილაძე (დ.1947).



გიული მელიტონის ასული მიქელაძე
შვილებთან ერთად ნ. 4(59)/№37

თავადი ბეგლარ გორგის ძე მიქელაძე¹¹⁻¹

IV თაობა შაქარისაგან



V

VI

VII

VIII

2/1. ეკატერინე (ადელაიდა) ზეგლარის ასული (1846-12.03.1872) ~ 5.10.1864 თავადი ნესტორ როსტომის ძე აბაშიძე (საზანო) (1839-1883).

3/1. ვალერიან ზეგლარის ძე (20.01.1855-?) ~ 18.04. 1881 მარიამი, თავად დავით ერისთავის ასული (1856-?). (1 ქორწ. თავადი დავით ირაკლის ძე მაჩაბელი).

4/1. გიორგი ზეგლარის ძე (1.04.1860-1945) ~ ნინო, თავად N. მიქელაძის ასული (?-1964).

6/4. მარიამ (პაშა) გიორგის ასული (1902-?) ~ აზნაური აბესალომ ლევანის ძე ნიჭარაძე (1896-?).

7/4. ვლადიმერ (ვალერიან) გიორგის ძე (1897-1977) ~ სოფიო (სონია) ონისიმეს ასული ნადირაძე (1910-1995).

8/4. არჩილ გიორგის ძე (1899-1983) ~ I. ლამარა ნიკოლოზის ასული ჟორჟო-ლიანი (1904-?), განქორწინდნენ 1940 წ. ~ II. შუმანიკა (შურა) სიმონის ასული დათიაშვილი (დ.1920).

9/4. ოლღა (ოლია) გიორგის ასული (1912-?) ~ 11.03.1933 ნიკოლოზ არჩილის ძე გრიგოლია (1911-?).

10/4. გუგული გიორგის ასული ~ მიხეილ გეგეშიძე.

11/7. ზურაბ ვლადიმერის ძე (1932-1994) ~ თინათინ გიორგის ასული კვანტალიანი (დ.1935).

12/8. ამალია არჩილის ასული (დ.1.03.1942) ~ ზაზა კობრეიძე (?-1994).

13/8. გივი არჩილის ძე (დ.28.08.1944) ~ ლამარა რაჟდენის ასული ჯიქია (დ.1941).

14/8. ანზორ არჩილის ძე (დ.7.02.1947) ~ ციციხო პავლეს ასული მაისურაძე (დ.1956).

15/11. რუსუდან ზურაბის ასული (დ.1960) ~ ანდრია ბარამიძე (დ.1958).

I თაობა

თავადი დავით მიქელაძე¹

ნუსხა 6 (60)

II

კონსტანტინე (კოხტა)²
1796-1858

III

ივლიტა³ იმბრუსტი⁴ მართა⁵ მარიამ⁶
1822-1899 1828-? 1830-? (ეკლუკია) 1831-1882 1833-1907 1836-? 1838-?

სიმონ⁷ ელენე⁸ მაია⁹ ნესტორ¹⁰ ალათი¹¹ მელქისედეკ¹² ეფროსინე¹³
1842-1901 1843-1883 1845-1899 1847-?

IV

ნიკოლოზ¹⁴ მარიამ¹⁶
1858-? 1864-?

არჩილ²⁰
1874-1916

ელენე²²
1879-?

დომიტრი²⁴
1876-?

დავით²⁸
1884-?

მარიამ³⁰
1890-?

რაჟდენ¹⁵ კესარია¹⁷
1862-1940 1865-?

სერგო²¹
1878-?

ლიდია²³
1883-?

ვერა²⁶
1879-?

ანა²⁵ პარასკევა²⁷ კონსტანტინე²⁹
1878-? 1880-? 1886-1915

V

მარიამ³¹
1894-1967

2/1. კონსტანტინე (კობტა) დავითის ძე (1796-20.09.1858), პრაპორშჩიკი ~ 11.07.1820 ელენე, თავად ლევან ნიჟარაძის ასული (1805-?) ოფშკვითი.

3/2. ივლიტა კონსტანტინეს ასული (1822-7.04.1899) ~ თავადი ქაიხოსრო ამილღაბარის ძე აბაშიძე, (ს.სვირი).

5/2. მართა კონსტანტინეს ასული (1830-?) ~ 7.02.1850 თავადი მიხეილ დავითის ძე ნაკაშიძე (1831-?), (ს.ხრიალეთი).

6/2. მარიამ (ევდოკია) კონსტანტინეს ასული (1831-1882) ~ თავადი ბეჟან ქაიხოსროს ძე მხეიძე (1818-1882), (ს.სორტა).

7/2. სიმონ (სილოვან, სინო) კონსტანტინეს ძე (1833-23.09.1907), პოდპორუჩიკი ~ ეკატერინე, თავად ბეჟან ჩიქოვანის ასული (1838-26.05.1908). (ს.ტყაია)

8/2. ელენე (ანა) კონსტანტინეს ასული (1836-?) ~ 25.07.1863 თავადი ნიკოლოზ ალექსის ძე წულუკიძე (1822-1879), (ხონი).

9/2. მაია (ციცინა) კონსტანტინეს ასული (1838-?) ~ 27.05.1856 აზნაური დავით მახუს ძე აფაქიძე (1828-1879), (ს.ცაიში).

10/2. ნესტორ კონსტანტინეს ძე (1842-25.07.1901), მაიორი ~ ანა ალექსანდრეს ასული კაჩინსკაია.

11/2 ალათი კონსტანტინეს ასული (1843-1.01.1883) ~ თავადი ალმასხან გოგის ძე აფაქიძე (1835-1877).

12/2 მელქისედექ კონსტანტინეს ძე (15.08.1845-15.02.1899) ~ 11.11.1873 მარიამ (მაია), თავად იულონ იაშვილის ასული (1845-?), (ს. გეგუთი).

13/2. ეფროსინე კონსტანტინეს ასული (1847-?) ~ 31.07.1866 თავადი სოლომონ ჰაატას ძე წულუკიძე (1838-1893), (ს.ნამაშევი).

15/7. რაჟდენ სიმონის ძე (1.12.1862-7.09.1940) ~ არინა (არიშა) N.

16/7. მარიამ სიმონის ასული (1864-?) ~ 15.02.1881 თავადი ბარძიმ პეტრეს ძე მხეიძე (1845-?), (ს. ყულისკარი).

20/7. არჩილ სიმონის ძე (3.08.1874-1916) ~ 31.01.1893 სოფიო, თავად ვასილ მარშანიას ასული (1870-1939), (წებელდა).

26/12. ვერა მელქისედექის ასული (15.08.1879-?) ~ 1.11.1901 აზნაური ნიკოლოზ სვიმონის ძე მგალობლიშვილი (1881-?).

31/20. მარიამ არჩილის ასული (10.05.1894-1967) ~ თავადი გიორგი ბესარიონის ძე დგებუაძე (1875-1938), (ს.თამაკონი).

II

ალმასხან²
1801-1857

III

ფარნაოზ³
(ფარნა)
1826-1864

მექელა⁴
1828-1897

ბესარიონ⁵
1831-1867

ალექსანდრე⁶
1834-1912

IV

ივლიტა⁷
1856-?

ელისაბედ⁸
1858-1886

ლევან⁹
(ბახვა)
1860-?

გრიგოლ¹⁰
1862-?

ნინო¹¹
1856-1892

V

დავით¹²
1887-1914

ნინო¹⁵
(გუმული)
1886-1912

იოსებ¹⁶
1890-?

ანდრია¹⁷
1892-1924

ანა¹⁸
1894-1928

ილია¹⁹
1895-1896

თამარ²⁰
1899-1976

ნიკოლოზ²²
?-1932

ანასტასია²³
1905-?

VI

ივანე²⁴
(ბიჭიკო)
1907-?

ნიკოლოზ²⁵
1911-?

ეკვინია²⁶
(ლელია)
1913-?

VII

ნორა²⁷
1928-1938

ბუჭუნა²⁸
დ.1934

შუშუნა²⁹
დ.1936

გუმუშა³⁰
დ.1937

დავით³¹
დ.1940

ხიტულა³²
დ.1943

პამელა³³
დ.1944

ეთერი³⁴
დ.1947

VIII

მერაბ³⁵
დ.1959

ციცილო³⁶
დ.1959

3/2. ფარნაოზ (ფარნა) აღმასხანის ძე (1826-28.01.1864) ~ ანა, თავად ზურაბ დადიანის ასული (1835-26.05.1903), (ს.მოიდანახე).

4/2. კეკელა აღმასხანის ასული (1828-21.04.1897) ~ 15.10.1848 თავადი დიმიტრი დავითის ძე ლორთქიფანიძე (1824-1905), (ს. ჩუნეში).

9/3. ლევან (ზახვა) ფარნაოზის ძე (16.08.1860-?) ~ I. ბარბარე ტარიელის ასული N.; ~ II. თეოდოსია (თეო), აზნაურ დიმიტრი ქაჯაიას ასული (1868-1926). ლევანის გარდაცვალების შემდეგ თეოდოსია მისთხოვდა თავად ანდრია ფარნაოზის ძე მიქელაძეს

10/3. გრიგოლ ფარნაოზის ძე (3.06.1862-?) ~ ივლიტა (იულია), თავად სიმონ ნიჟარაძის ასული.

12/9. დავით ლევანის ძე (21.07.1887-1914), დაიღუპა I მსოფლიო ომში. ~ ნადეჟდა (აკვილინა) დავითის ასული პაპავა.

14/9. მარგარიტა ლევანის ასული (1895-1960) ~ აზნაური გრიგოლ გრიგოლის ძე ლოლობერიძე (1888-1957).

18/10. ანა გრიგოლის ასული (1894-1928) ~ ანტონ ბეჟანის ძე ქავთარაძე (?-1928).

20/10. თამარ გრიგოლის ასული (4.08.1898-?) ~ 23.02. 1933 ივანე არსენის ძე კანდელაკი (1881-?).

21/10. მარიამ გრიგოლის ასული (1899-1976) ~ თავადი ვლადისლავ სიმონის ძე ჩიჯავაძე (1871-1963), (ს.ისრიითი).

23/10. ანასტასია გრიგოლის ასული (15.01.1905-?) ~ მილორდი ჯოგლიძე.

24/12. ივანე (ბიჭიკო) დავითის ძე (1.07.1907-?) ~ 1947 ბაბილინა პორფირეს ასული ჩახუნაშვილი (1909-?).


26/12. ევგენია (ლეილა) დავითის ასული (5.11.1913-?) ~ დემურ პირველი (სამტრედია).

28/24. ბუჭუნა ივანეს (ბიჭიას) ძე (დ.1934) ~ ნელი სამსონის ასული N. (დ. 1935).

31/24. დავით ივანეს (ბიჭიას) ძე (დ.1940) ~ გულნარა ვალიკოს ასული N. (დ. 1941).

1. ქაიხოსრო ~ ელენე ქველის ასული N. (1787-30.01.1852).
- 2/1. ბაქარ ქაიხოსროს ძე (1814-1.02.1857), პრაპორშჩიკი ~ 8.11.1833 ელისაბედი, თავად გიორგი თავდგირიძის ასული (1818-?), (ს.აკეთი).
- 5/1. გიორგი ქაიხოსროს ძე (1826-2.07.1858) ~ ფოტინე გლახუას ასული N.
- 6/1. ზაალ (ზაქარია) ქაიხოსროს ძე (1830-6.03.1883) ~ I. ელისაბედ ბერის ასული N.; ~ II. (7.01.1862) ანა, თავად გიორგი ჯაფარიძის ასული (1846-?), (ს.ხრეთი).
- 7/2. სევასტია ბაქარის ასული (1832-1.10.1885). ~ I. 9.01.1851 თავადი ივანე გიორგის ძე ლორთქიფანიძე (1829-1856), (ს.ჩუნეში); ~ II. 5.07.1859 თავადი ნიკოლოზ ბეჟანის ძე ნიჟარაძე (1831-1897), (ს.მაღლაკი).
- 8/2. მათა ბაქარის ასული (1835-1.12.1909) ~ I. N.N.; ~ II. 10.07.1856 თავადი მიხეილ ალექსის ძე წულუკიძე (1833-1858), (ს.საწულუკიძევე); ~ III. თავადი სამსონ გიორგის ძე ნიჟარაძე (1833-1880), (ს.მაღლაკი).
- 9/2. ყაფრან ბაქარის ძე (1839-?) ~ ტერეზია, აზნაურ ბესარიონ კახიანის ასული.
- 12/2. ილარიონ ბაქარის ძე (21.08.1851-19.04.1886) ~ ელისაბედი, თავად პეტრე მხეიძის ასული (1851-?), (ს.ყულის-კარი).
- 13/2. მაკრინე (ვარდიკო) ბაქარის ასული (12.08.1853-2.03.1916) ~ 14.11.1872 თავადი გიორგი სოლომონის ძე ნიჟარაძე (1853-1912), (ს.მაღლაკი).
- 16/5. მაკრინე გიორგის ასული (8.05.1858-?) ~ 9.02.1875 აზნაური ხოსია ზურაბის ძე ჩიქოვანი (1834-?).
- 17/6. ერმილე ზაალის ძე (1.01.1856-?) ~ 25.04.1883 დესპინე, აზნაურ საჩინო ყიფიანის ასული (1868-?).
- 19/6. ანა (ანეტა) ზაალის ასული (1866-21.11.1944) ~ 24.04.1883 თავადი იასონ როსაპის ძე მიქელაძე(1861-?).
- 20/6. სიმონ ზაალის ძე (16.02.1868-?) ~ ბარბარე ნიკოლოზის ასული N.
- 22/9 ნინო ყაფრანის ასული (1888-?) ~ 7.07.1913 აზნაური ნიკოლოზ ფრიდონის ძე ჭყონია (1878-?).
- 23/9. სერგო ყაფრანის ძე (20.08.1892-1961) ~ ანასტასია სერგოს ასული კოცეროვა (1900-1980).
- 24/9. აკაკი ყაფრანის ძე (2.04.1896-?) დაიღუპა ქ. ქერჩში (1942/1943 წ.).
- 26/17. ალექსანდრა ერმილეს ასული (1.08.1886-1963) ~ 17.08.1904 თავადი ლევან გრიგოლის ძე ერისთავი (1869-1937), (ს.სევა).
- 28/17. ოლღა ერმილეს ასული (15.03.1890-?) ~ 20.09.1905 აზნაური ბენიამინ ოსეების ძე წერეთელი (1886-?).
- 29/17. ვერა ერმილეს ასული (2.06.1892-1984) ~ I. 5.06.1911 თავადი სიმონ (ჭიჭიკო) ერმილეს ძე გელოვანი (1888-?), (ს.ჟოშხა). ~ II. აზნაური ფილიპე დარისპანის ძე ჯაფარიძე (1882-1970).
- 32/17. ნინო (ნუცა) ერმილეს ასული (17.05.1902-1961) ~ აზნაური ვალერიან პლატონის ძე ავალიანი (1878-1947).
- 33/17. ელენე ერმილეს ასული (15.05.1905-?) ~ აზნაური კონსტანტინე ჯაფარიძე.
- 38/23. ნიკოლოზ სერგოს ძე - სამხედრო მფრინავი. დაიღუპა II მსოფლიო ომში.
- 39/23. ვალენტინა სერგოს ასული (დ.25.10.1928) ~ აკაკი შენგელია (1920-1979).
- 40/23. ლილი სერგოს ასული (დ.1929) ~ გიორგი დიმიტრის ძე შილაკაძე (დ.1926).
- 41/23. დიმიტრი სერგოს ძე (27.05.1932-1996) ~ ლოლა სოლომონია (დ.1932).
- 42/23 არჩილ სერგოს ძე (დ.12.03.1937) ~ ლიანა მელიტონის ასული შალამბერიძე (დ.1938).

- 43/41. ლელა დიმიტრის ასული (დ.1977) ~ გიორგი (გია) კიკუტაძე (დ.1976).
 44/42. ნიკოლოზ არჩილის ძე (დ.1962) ~ ნატალია (ნატო) ჭელიძე (დ.1969).
 45/42. მაია არჩილის ასული (დ.1963) ~ გიორგი (გია) სანიკიძე (დ.1960).




2/1. შაქარ (გლაზუა) შაქარის ძე (1811-4.01.1857) ~ მატრონა (მატა), თავად ბუჭუ წულუკიძის ასული (1836-1863), (ს. საწულუკიძეო). (II. თავადი მიხეილ გიორგის ძე ლორთქიფანიძე).

3/2. ანა შაქარის (გლაზუას) ასული (21.09.1849-?) ~ I. 6.02.1875 თავადი დუტუ ოტიას ძე ჯაიანი (1836-1880), (ს. ახუთი); ~ II. 12.02.1881 თავადი ბეგო ახთოულის ძე შელია (1851-1903).

4/2. ერმია შაქარას ასული (1851-?) ~ 14.01.1879 თავადი ოტია ფარსადანის ძე ნიჟარაძე (1829-1883), (ს.მაღლაკი).

5/2. სიმონ შაქარის (გლაზუას) ძე (6.01.1855-?) ~ ევდუკია გიორგის (გიგოს) ასული N. (1859-13.11.1904).

10/5. პელაგია სიმონის ასული (1880-?) ~ 20.04.1897 თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ნაკაშიძე (1878-?), (ს. გურიანთა).



2/1. მზესა ბეჟანის ასული (1824-?) ~ I. N.N.; ~ II. 11.02.1854 აზნაური ალექსი სვიმონის ძე კორძაია (1816-?).

3/1. დავით ბეჟანის ძე (1825-24.01.1857) ~ 1851 აღათი, თავად დავით ნიჟარაძის ასული (1830-?), (ს.ოფშკვითი).


5/1. ხუტუ ბეჟანის ძე (1833-12.01.1881) ~ მელანია აღმასხანის ასული N.

6/3. პელაგია (პუპი) დავითის ასული (1.05.1853-25.12.1889) ~ 8.04.1868 თავადი იოსებ დავითის ძე ნიჟარაძე (1836-1883), (ს.მალლაკი).

7/5. ივლიანე ხუტუს ძე (19.11.1862-?), პოლკოვნიკი. წმ. სტანისლავის და წმ. ანას ორდენტა კავალერი. მსახურობდა სოხუმის 258 ქვეით პოლკში.

თავადი თეიმურაზ მიქელაძე¹

I თაობა



1. თეიმურაზ ~ I. N.N.; ~ II. ეგემია მაქსიმეს ასული N. (1795-5.03.1854).

2/1. კონსტანტინე (კობტა) თეიმურაზის ძე (1805-20.07. 1860) ~ 10.11.1824 გულქანი, აზნაურ ბეჟან ერისთავის ასული (1809-8.07.1882). სოფ. სალომინაო.



ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძე ნ. 12 (65), №7

4/1. ნინო თეიმურაზის ასული ~ I. N.N.; ~ II. (29.11.1835) აზნაური გიორგი ლაზარეს ძე ავალიანი.

5/1. ალექსი (ალექსანდრე) თეიმურაზის ძე (1817-15.08.1881) ~ 06.09.1856 ეკატერინე (ეკა), აზნაურ გიორგი ლორთქიფანიძის ასული (1835-28.01.1899), (ს.დიდი ჯიხაიში).



ზიძინა ვლადიმერის ძე მიქელაძე (ნ.12(65), №18)

მეულღესთან ანასთან და შვილთან ლევანთან (№27) ერთად

6/1. ანა (ციცინა) თეიმურაზის ასული (1819-?). 1834 წ. მისთხოვდა გურულ თავადს ამბაკო (ავაკუმ) შალიკაშვილს (1793-?). გურიის აჯანყებაში მონაწილეობისთვის ამბაკო 1842 წ. გადასახლებულ იქნა ციმბირში. ციცინას მეორე ქმარი (1844 წლიდან) იყო აზნაური გიორგი დავითის ძე გეგიძე (1798-?), პოდპოლკოვნიკი.



ზაზა ზიბინას ძე მიქელაძე (ნ.12(65), № 25) შვილებთან გიორგისთან (№ 38) და თამართან (№39) ერთად



მაია (ქეთევან) ზიბინას ასული მიქელაძე (ნ. 12(65), №26)

7/2. ფოტინე (ზუთია) კონსტანტინე ლევან ბეჟანის ძე მხეიძე (1823-?), (ს.თეკლათი).



ლევან ზიბინას ძე მიქელაძე (ნ. 12 (65), №27)
მეუღლესთან ლალისთან და შვილებთან თინატინთან (№40) და
მარიამთან (№41) ერთად

8/2. ანტონ კონსტანტინეს ძე (3.09.1834-?), კაპიტანი ~ 07.02.1865 ოლლა, თავად ნიკოლოზ მაქსიმენიშვილის ასული (1846-?), (ს. ბახვი).

10/2. ნინო (ნინუცა) კონსტანტინეს ასული (1846-?) ~ 27.01.1865 თავადი ალექსანდრე ქაიხოსროს ძე შელია (1833-1881).

13/3. ნიკოლოზ (ზიჭია) ხახუტას ძე (1836-23.07.1907) ~ 08.01.1861 მარინე (ეფროსინე), აზნაურ იესე ავალიანის ასული (1844-?).



ლევან ზიბინას ძე მიქელაძე (ნ.12 (65), № 27)
შვილთან მარიამთან (№41) და ძმისშვილთან სოფიოსთან
(№44) ერთად




მამუკა ზიბინას ძე მიქელაძე (ნ.12 (65), №28)
მეუღლესთან თამართან და შვილებთან მაიასთან (№42)
და ანასთან (№43) ერთად

